ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 01-08-17/31-2022-4

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-სა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ქ.თბილისი 16 მარტი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“ წარმოდგენილი დირექტორის **ლაშა სამხარაძის** სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, **დავით გურგენიძის** სახით, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობა, მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიას და წაახალისებენ საქართველოში მშენებლობის დარგის განვითარების ხელშეწყობას ორმხრივი ინტერესების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას;
1.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობა“ სტუდენტების („პრაქტიკანტი“) საწარმოო პრაქტიკის გავლა ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ში.
1.3.ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“ გამოთქვამს მზადყოფნას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკა განახორციელოს ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 2. შეთანხმების მიზანი

სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკის გავლა და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1.უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

3.1.1. ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ში:

ა) პრაქტიკანტების გაგზავნას და მათზე კონტროლს საწარმოო პრაქტიკის პერიოდში.

ბ)საწარმოო პრაქტიკაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფას.

გ)კომპანიასთან შეთანხმებით სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გრაფიკის განსაზღვრას;

დ) პრაქტიკანტი სტუდენტების სახელობითი სიის და პრაქტიკის სილაბუსის მიწოდებას პრაქტიკის დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე.

3.2. ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“ უზრუნველყოფს:

კალენდარული წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობა“-ს 20 სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის გავლას, მისამართზე ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი 140ა/პასტერის 7 .

ა) სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკაზე პასუხისმგებელი პირის (მენტორი) გამოყოფას, რომელიც უზრუნველყოფს საქმისადმი კოორდინაციას, კონტროლს და შესაბამისი რეპორტის წარმოდგენას შემდგომში მისი დახასიათების მიზნით.

ბ) თითოეული სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვან და ეფექტურ გავლას.

გ) სტუდენტებისათვის ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“ დებულების შინაგანაწესის, ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების გაცნობას.

დ) სტუდენტები თავის მხრივ ვალდებულნი არაიან სრულყოფილად დაიცვან მენტორის/ პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებები.

ე) დაიცვას კომპანიის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის, შეურაცხყოფისა და უყურადღებობისაგან.

ვ) საწარმოო პრაქტიკის დასრულებისთანავე თითოეულ სტუდენტზე სრული აკადემიური მოსწრებისა და მენტორის შესაბამისი რეპორტის წარმოდგენას შემდგომში კომპანიის ბეჭდით დამოწმებული დასკვნა-დახასიათებაის გაცემას.

მუხლი 4. პრაქტიკის ხანგრძლივობა

პრაქტიკის ხანგრძლივობა სტუდენტთა თითოეული ნაკადისათვის განისაზღვრება არანაკლებ 90 საათით სემესტრში, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

5.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით შედგენილი, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების გაფორმების გზით.

5.3. ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ აცნობოს სულ ცოტა ერთი თვით ადრე მაინც.

5.4.ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მხარე გაფრთხილების მიუხედავად არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

6.2.იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის, წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1.მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება. ფორს-მაჟორულ გარემოებებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, ხანძარი, მასობრივი არეულობა, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომლებიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას.

8.2.თუ ფორს-მაჟორულ გარემოებებს აქვთ დროებითი ხასიათი, მათზე მითითება დაიშვება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ისინი გავლენას ახდენდნენ მხარეთა

ვალდებულებების შესრულებაზე. თითოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

8.3.ფორს-მაჟორული გარემოებების 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

9.1.მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2.ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეტანილი უნდა იქნას მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

9.3.მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ განსხვავებულ უფლება-მოვალეობებსა და პირობებზე, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

9.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

კომპანია

ა(ა)იპ,, თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“

მისამართი: თბილისი. დ.აღმაშენებლის 140ა/პასტერის 7

ს.კ. 402008046

საკონტაქტო ნომერი: --2-24-00-92--

დირექტორი

ლაშა სამხარაძე

უნივერსიტეტი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მისამართი: კოსტავას ქ. 77

საკონტაქტო ნომერი: ----------

ს.კ. 211349192

რექტორი

დავით გურგენიძე